რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში „დროების“-„ივერიის“ აგენტთან [illegible] ხელზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივი [illegible] დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. [illegible] წერილს რედაქცია [illegible] დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

მომავალს 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და ამავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაცეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი საასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“ ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: | 9 მან. | სამის თვით | 3 „ |
| ნახევარის წლით | 5 „ | ერთის თვით | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

---

საზაფხულო თეატრში

მეხუთე აბონემენტის რიცხვში

ოთხშაბათს, 16 დეკემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## დაკარგული შვილი

კომედია 4 მოქმ. და 5 სურათად გადმოკ. თ. დავით ალექსანდრეშვილისაგან.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

---

## სპარსეთიდგან ჩამოსული ქართველის ნაამბობი.

ამ დღეებში მომიხდა ლაპარაკი ერთ ჩემ ძველ ნაცნობ-ნაამხანაგართან, რომელიც სამი წელიწადი სცხოვრებდა (მსახურებდა) სპარსეთში, სახელდობრ თეირანში—სპარსეთის სატახტო ქალაქში.

სხვათა შორის, ამ პატივ-ცემულმა პირმა მითხრა ორიოდე სიტყვა იქაურს ქართველებზე და ზოგიერთ იმათ წესებზე.

თურმე იქაურ ქართველებს ჰსურვებიათ გადმოსახლება თავის მამა-პაპეულს ქვეყანაში (საქართველოში). ამათ მოახსენეს თურმე რუსეთის ელჩს; „ჩვენ მივიღებთ ქრისტიანობას, თუ იშუამდგომლოთ, რომ მოგვეცეს ნება გადავსახლდეთ იქ, საიდამაც პირველად აჰყარეს ჩვენი წინაპარნი მტრებმა.“ რასაკვირველია, ეს წინადადება ელჩს არ მიუღია და იქაური ქართველები იქვე დარჩომილან.

სპარსეთის ქართველები თურმე დიდის ყურადღებით და სიყვარულით იხსენებენ, ლაპარაკობენ თავის ძველ მამულ-დედულზე და აქაურებს დაწვრილებით გამოჰკითხავენ ხოლმე საქართველოზე, რომლის ნახვა მათ ენატრებათ. ქართული ენა დავიწყებიათ, თუმცა ზოგიერთს ახსოვს რამდონიმე სიტყვა. ბევრმა იცის, თუ რომელი სოფლიდამ ყოფილა მისი ბაბუა, დიდედა და სხ.

თუმცა ენა აქვთ დავიწყებული, მაგრამ ზოგიერთი ჩვეულებაები კი არა. თავიანთ ქალებს თურმე სპარსელებს არ მიათხოვებენ, არამედ ურთიერთ შორის ქორწილდებიან.

იქაურების რიცხვი ჩემმა ნაცნობმა არ იცის რამდენია, 12 სოფელი კი არის, ვიციო. ყოველ სოფელში თუ საშუალო რიცხვად მივიღეთ 70 კომლი, სულ გამოვა 840 კომლი, თითო კომლი თუ 5 სულად ჩავაგდეთ, სპარსეთში დატყვევებულ ქართველთა რიცხვი გამოვა 4,200 მდინ.

ამდენი ჩვენებური ხალხი სცხოვრობს სპარსეთში. მას გამოუვლია მრავალი სიმწუხარე, იგი უჩაგრავს მძლავრს მტარვალს;ისე შეუვიწროებია გარემოებას, რომ დაუვიწყებია იქაურ ქართველთათვის ღვიძლი ენა. მაგრამ, სასიხარულოდ ჩვენდა, ამდენ ვაებას, მტარვლობას—აწიოკებას თითქმის ორი საუკუნოს განმავლობაში ვერ დაუვიწყებია მათთვის მათი ვინაობა გვარ-ტომობა: იგინი ახლაც თურმე იწოდებიან გურჯებად (ქართველებად), და ახლაც გულში უღვივით ღრმა სიყვარული ძველ მამულისადმი მოძმეებისადმი, რომელსაც ბედის წერამ დიდი ხანია დააშორა.

თუ 2,000—3,000 ვერსზე გადავარდნილ 4,200 ქართველს, ყოვლის მხრით ჩაგრულს მტარვლისგან, მცხოვრებს იმავე მტარვალთა შუა, საცა ყოველი ფერი: ბუნება, ჰავა, ადამიანი და სხ. უცხოა, საცა მშობლიურს „ყოველ ნაბიჯზე ჩაქუჩი“ ჰხვდება,—თუ, ვამბობ, ამისთანა ადგილას 4,200 ქართველი დიდად შევიწროებული, აქამდის სულით და გულით ქართველობს,. . . . . . . . . . . .

მოსე ჯანაშვილი.

---

## ახალი ამბები.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ამ კვირის პარასკევს, 18-ს, თფილისის კლუბში (სობრანიეში), რეა-

---

«დროების» ფელეტონი, 15 დეკემბ.

## სიღნაღური ფელეტონი.

გამოუთქმელ სიხარულს მიეცი, როდესაც ჭოტორის და მაღაროს სიმაღლეებიდან უცებ გადავხედე გამოუთქმელად მშვენიერ ქიზიყის არემარეს. თითქოს ჩემ მისვლაზეო, ტურფა და ფართო ალაზნის ველს განეშორებინა უკუნითი ბურუსი, რომელიც მას იშვიათად ჰშორდება; იმიტომ მშვენივრად მოჩანდა უზარმაზარი გველაშაპივით მხლაკნავი ალაზანი.

როგორც ალაზნის დაბურულ ტყიან და მინდვრიან ნაპირებმა, ისე ამაყად და ენა-გამოუთქმელ სიდინჯით აყუდებულმა თოვლიანმა ლეკის მთებმა დიდ-ხანს იყოლიეს ჩემი გონება ფანტაზიის კალაპოტში.

მხოლოდ სიღნაღის გადასახედში მიახლოვების უმალ ჩემი ფანტაზია განცხოველდა სიღნაღის გარშემო ზღუდესავით შემორტყმულის ქიზიყის სოფლების დანახვისაგან. თითქო თვალწინ მედგნენ ის უწინდელი ხმალამოღებული, თავისუფალი და შეუპოვარი ქიზიყელეში, რომლებიც პირ-ში და გულადად უდგნენ ეხლაც საშინლად მათზე მამზერალ დაღისტანს, და რომელნიც არა ბატონს არ ეყმნენ და არც არავინ იყმეს!.. მე ვფიქრობდი: ეს ყოჩაღი და ამაყი ხალხი ამ „დადონდგოლებულ“ დროში თავის საშინელ ენერგიას მოახმარებდა თავის სისხლით ნაპოვნ-ნადაგ, საერო*) ტურფა, ხომრიელ და მდიდარ ქვეყანას და ცოტათი მაინც ბედნიერად იცხოვრებს, მინამ სხვა მისი მოძმე ქართველეში, რომლების სახლის ადგილიც კი დღევანდლამდე საბატონოა... დიდ-ხანს იფრენდა ასე ჩემი ფანტაზია, რომ ის მალე არ დაჰჯახებოდა კლდეს, ტინს, ე. ი. ნამდვილს... ბატივით ყიალი მომწყინდა და გზას დავაცქერდი.

აქ დავინახე ბეგარზე მიმავალი ასამდე მეტი კაცი—ყველა ესენი საცოდავად დაბღლერძილნი, ტყაპუჭიტყავებით, თეთრი ხამის ასგან დაკერებულ ახალოხებით, გაქუცულ გუდებით, რომლებიდგანაც გამოჩანდნენ საშინელის ფერის ქერის პურები, ქალამნები მომეტებულთ რაღაც ნაირად დაკერებულნი და უფრო ჭვინტებთან გამოშვერით ტყლაპებით... დაღვრემილნი, ძირს მზირალნი და ზოგს კისერზე რაღაც ხატის რკინის უღელით ბარითა და ნიჩფით მიდიოდნენ ესენი. ამათ დანახვაზე გადამავიწყდა, რო ქიზიყზე მივდიოდი, მხოლოდ როცა ჩემ კითხვაზე ზოგმა მომიგო: „—ნაგელი ვარ-ყე“, ზოგმა „მაქირელი-ყე“—მაშინ მე გამოვფხიზლდი, მაგრამ თუ გონება, თუ გრძნობანი დამიჩლუნგდა, იქნება იმ მიზეზის ძალით, რომ გონება უარს ჰყოფდა იმაში, რო მართლა იყვნენ ისეთი ხალხნი, ვისაც ყველა ეს ნახული ტანთ-სამოსად მიაჩნდათ, ეს პური—პურად, ცხოვრება—ცხოვრებად...

მე ჯერ გადაჭარბებულად მეჩვენა ეს ჩემი გონებითი ღელვა და მართლაც მაგრე იქნებოდა, რომ ამ ხალხის ამ გვარ უბედურობის მიზეზი უმამულობა, მოუსავლობა ყოფილიყო და არა ხალხის სულის ზნეობითი მდგომარეობა. მაგრამ რას იტყვით, რო ეს უბედურება იყო საშინელი ფსიხოლოგიურად... ეს ფსიხოლოგია, ეს ხალხის სული, გაცვეთილი, დაჩაგრული, შეშინებული, რომ ყველა კაცს აქვს ნება კაცურად ცხოვრებისა... დააცქერდით მის ათას ნაირად დაკონკებულ ახალუხს, საოცრად დაჯღანებულ ქალამნებს, ქუდის ჩაჩს, გახეხილ გუდას შესაზარ პურით, და კისერზე რკინის უღელს; ეხლა წარმოიდგინეთ, ხო ყველა ამ დაკონკებაზე უნდა იფიქროს კაცმა?!. რა უნდა იყოს ზნეობითი მდგომარეობა იმ კაცისა, რომელიც თავის ტვინის ძალას ახმარებს ამ გვარ გამოგონებას...

*) ქიზიყში საერო მიწის მფლობელობაა (общиное владѣніе).

ლურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, დანიშნულია კონცერტი, რომელშიაც სხვათა-შორის ბ.ბ. ალიხანოვი, ორლანოვი, ოპოჩინინი, პალმი, ადამიანი მიიღებენ მონაწილეობას.

* * *

შაბათს ხუთშაბათს ჩვენს ქალაქში გარდაიცვალა კავკასიის აქეთა მხრის მაჰმადიან-სუნიტების მუფტი ჰაჯი-ჰამიდ ეფენდი-ეფენდი-ზადე 70 წლისა. მეორე დღეს, როგორც მაჰმადიანთ ადათი მოითხოვს, მიცვალებული დაასაფლავეს. რადგან მიცვალებული ამისთანა მაღალ თანამდებობას ასრულებდა და დიდადაც პატივცემული პირი იყო, ამის გამო იმის დასაფლავებაზე დიდ ძალი ხალხი დაესწრო მაჰმადიანებიც და ქრისტიანებიც. გორის საოსტატო სემინარის დირექტორმა ბ. სიმონოვმა წარმოსთქვა სასაფლაოზე ჩინებული სიტყვა, რომელშიაც ჩამოთვალა მიცვალებულის ღირსება და მოღვაწეობა მაჰმადიანთ განათლების წარმატებისათვის.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში მეორე გამოცემა ერთის ჩინებულის ქართულ სახელმძღვანელო წიგნისა: „იგავ-არაკნი“ კრილოვისგან და „სიბრძნე-სიცრუისდგან გადმოღებულნი თ. რაფ. ერისთავისგან.

ამ მეორე გამოცემაში ზოგიერთი იგავნი გადასწორებულია და შევსებული.

თვითონ გამოცემა მაინცა-და-მაინც ძალიან საქები არ არის: ქაღალდი ერთობ სუსტია და სურათები ისე უხეირო, რომ ლომს კატისგან ვერ გაარჩევ და ფოთოლს კოლოსაგან. მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ წიგნში ერთობ ბევრი კორექტურული შეცდომებია, ზოგი გაუსწორებიათ, მაგრამ ბევრი კიდევ დარჩენილა. ამ გვარს სახელმძღვანელო წიგნში კორექტურულ შეცდომას განსაკუთრებით უნდა ერიდებოდეს გამომცემელი.

მაგრამ, რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს გამოცემას, თვითონ წიგნი შეადგენს ძვირფას განძს ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურისათვის.

—

ჩვენ ამ უკანასკნელ ორ კვირაში არ დაგვიბეჭდნია არაფერი, ვეფხის-ტყაოსნის რედაქციის შესახებ, თუმცა რედაქციის სხდომა ყოველ კვირა ორ-ჯერ არის, სამ-შაბათობით და პარასკევობით. როგორც დღემდის დღეის იქითაც ამ დღეებში იქნება სხდომა სადგილ-მამულ ბანკში, საღამოობით შვიდ საათზე. როგორც გვაცნობეს კიდევ შვიდი, თუ რვა საღამო დასჭირდება პოემის გათავებას.

## „დროების“ კორრესპონდენციები

—

**დ. ყვირილა, 12 დეკემბერს.** მინდოდა კარგად გამეცნო აქაური მომრიგებელ სასამართლოს წესები და ამისათვის ამ დღეებში, გათენდა თუ არა, წაველი სასამართლოს კამერაში. ყველაზე უწინ შემობრძანდნენ ესრედ წოდებული „წვრილი ჩინოვნიკობა“ მეორე ოთახში, მერმე მას მოჰყვნენ მათზე უფრო ბობოლაები და ბოლოს მობრძანდა თვითონ მსაჯულიც.

შეიქმნა თუ არა დილის 7 საათი, აიხადა ფარდა და სცენაზე გამობრძანდნენ ბ. მსაჯული თავის „პრაოქიკით“. ჯაჭვი დინჯად კისერზე გადიგდო და საქმეებს მიჰყო ხელი. სანამ საქმის სჯას დაიწყებდა, ჯერ არწივსავით ამპარტავნულად გადიხედგადმოიხედა სცენიდგან და შემდეგ „პრაოჭიკს“ ჰკითხა:

— რამდენი საქმე დავნიშნეთ დღეისთვის გასარჩევად?

— ოც-და-ათი.

— ქეთილი. იღებს საქმეს ხელში და ჰკითხულობს სახელს და გვარს:

— სოფელს ს.... მცხოვრები აზნაური *N* აქ არის?

— არ გახლავს, ბატონო. იღებს და სპობს.

— სოფელს თ—ს მცხოვრები გლეხი *N*?

— არ გახლავს, ბატონო. სპობს და აწყობს მეორე გვერდზე.

— მღვდელი *N*?

— არც ის გახლავს. ამასაც სპობს და სდებს გვერდზე.

ამასობაში ერთი კარის რაკუნი ისმის, დიდის თხოვნის ლიჭინის შემდგომ კარებს უღებენ და სულიერი მამა მსაჯულის წინ შემდგომი სიტყვებით წარმოსდგება:

— ბ. სუდია, ჩემი საქმე სულ უსაფუძვლოდ მოგისპიათ. თქვენ უწყებაში 8 საათზე გვიბარებთ, ბატონო, და ჯერ შვიდიც არ არის; ეს როგორ იქნება!...

ამაზე ჩვენი მსაჯული ეტყვის:

— თქვენ ჩვენთან არაფერი საჩხუბარი საქმე არა გაქვსთ, თუ გნებავს საქმის განსაახლებელი ფული შემოიტანეთ და ისევ განვაახლებთ და თუ არა და სადაც გნებავდესთ, მიიქეცითო.

თურმე როგორ იქცევა ეს პატივცემული მსაჯული: დღეში 20-ს ხან მეტსაც საქმეს ნიშნავს გასარჩევად და რადგანაც ყველა საქმეების გარჩევა შეუძლებელია, ამისთვის შემდეგს საშუალებას ხმარობს: უწყებაში მომჩივან-მოპასუხეს დილის 8 საათზე იბარებს და თვითონ კი 7 საათზე შედის სამსაჯულოში [illegible] ერთი საათის განმავლობაში [illegible] მოასწრებს, სპობს და აწყობს აგერ გვერდზე.

ამ დღეებში, საღამოს, როდესაც ყვირილის პუბლიკა რკინის გზის სტანციის ბუფეტში ვისხედით და ცდის მოწიწებით მოველოდით სტეფენსონის ურმის მოჩოჩებას, ამ დროს უეცრად შემოვარდა ბუფეტში გულგახეთქილი ქერა ყმაწვილი კაცი, რომლის სახემაც ყველა ჩვენთაგანი მიიზიდა. ეს გახლდათ აქაური მაზრის გამომძიებელი, რომელსაც წინ ცხენოსანი მთვრალი ყმაწვილები შეჯახებიან ჩვენს პროსპექტზე. რადგანაც პოლიციის განკარგულებით ქუჩებში ჩქარა ცხენის ტარება აკრძალული ყოფილა, ამისთვის ამ ვაჟბატონსაც შეუყვირია მათთვის:—რა ამბავია, ვინა ხართ, რა სიმხეცე არის ბაზარში ცხენის გაჭენება! ისინი წასულან თავის გზით. მის-და-საბედნიეროდ, ბუფეტში ჩვენი სოსია ბაზრაძეც იყო, რომელსაც შემოესმა თუ არა ეს ამბავი, წამოდგა წინ, მიიქნ-მოიქნია მისი მოჭედილი ლეკური და უთხრა: თუ ეს ბიჭი ვყოფილვარ,—იმათ ამ საათშივე დავიჭერ ყველასო, — და მართლაც აღასრულა: ათ მინუტს არ გაუვლია, რომ მთვრალ კაცებს ბუფეტში არგვევინა თავი. ერთი იმათგანი მალე წავიდა და უშველა თავს, მაგრამ მეორეს კი ბევრი სცემეს ჟანდარმებმა და შემდეგ თრევით წაიყვანეს ვიზიტად პოლიციაში.

ამ შემთხვევის დროს ბ-ნი მაზრის უფროსის თანაშემწეც აქ ბრძანდებოდა, ამან შეადგინა „პროტოკოლი“ და სადაც ჯერ არს, გარდასცა.

კ—ლი.

**მთებიდამ, 10 დეკემბერს.** ამ ჟამად უჩვეულებრიოდ გახშირებულია ჩვენრო ამეებზე იფიქროს კაცმა, ის უნდა იყოს სადმე მხეცივით გახრეკილ უდაბნოში, გარშამო არვინ უნდა ჰყვანდეს მშველელი.

მაგრამ შეჰხედეთ ქიზიყის ბუნების სიმშვენიერეს და!! რაო, გახრეკილი უდაბნოო? სახარა? ანუ დამპალი ტბორეა?! არა, ეს კურთხეულთაგანი კურთხეული მხარეა!

მაშასადამე, თუ ამ მშვენიერ მხარეში ასეთ უბედურ და საზიზღარ რამეს ივონებს კაცი თავის ტანის დასაფარად და მუცლის გასაძღომად, ცხადია, უნდა არსებობდნენ რაღაც ზნეობითი მიზეზნი, სულით დამხობა, ერთი სიტყვით, რაღაც არა-მატერიალური, რაღაცა ტვინის და ზნეობითი დამჩაგრავი...

— არა მჯერა მე ეგ შენი ფსიხოლოგია, მეტყვის ამაყად უეჭველად რომელიმე მკითხველი: თუ უჭირდეს მაგრე სადმე ხალხს, ის იბრაზებდა და არ იქნებოდა მაგრე გაყუჩებული, დაჩლუნგებული და ჩაყურჭუმალავებული რაღაც საზიზღარ დაჯღანებაში. ძველ ომქმედ საზოგადოებას მაინც მიჰმართამდა-ჰა ბატონო?!. მოიგონე, მკითხველო, შარშანდელ გაზეთებიდან ვანის პროვინციის მდგომარეობა, რო დედები შვილებს სჯამდნენ და მიჰხვდები, რო გაბრაზებამდის ჯერ კიდევ ყოფილა რამ ამოსახაპი...

მალე შეველი ქ. სიღნაღში და აქ ცოტაოდენი მივხდი ხალხის ამ გვარ მდგომარეობის მიზეზს... ჯორთა და დედაკაცთა სიმრავლემ ჯერ გამაღიმა; მაგრამ, როცა ქათმებით ხელში დედაკაცებს ვკითხე ქათმის ფასი, მე გამაკვირვა ამოთქმულმა სამჟა შაურმა!.. რას მოიფიქრებდნენ ამაყი ქიზიყელნი, რომ ის მათი აშენებული სიღნაღი თავისი ციხე-გალავნით, რომლის გარშამო კრუხ-წიწილასავე შეახოხმიკეს მთელი ქიზიყი და რომელიც იცავდა მათ ბარბაროს და ძრიელ მტრისაგან, შეიფარებდა შემდეგში . . . . . . . . . . . . . ყოველ დილით აიმსება ხოლმე ქიზიყელივე კაცებით, დედაკაცებით, რომლებსაც ზოგს ქათამი უჭირავს, ზოგს გამომცხვარი პური, ზოგს კვერცხი, ზოგს აბრეშუმი, . . . . . . . . იმ ტურფა ქვეყნისა, ფასი-კი—დედალი სამი შაური, პური შაურად სამი!. სვავთა პირის მიცემა სამ შაურის მაგიერ შეაძლევს ხოლმე ხშირად შაურ ნახევარს და წადილსაც ეწევიან!. . . . . უნდა იანგარიშოთ და წარმოიდგინოთ, თუ რა არის თავისი და ოჯახის გამოკვება ხვნითა და თესვით. . . . . . . . . . . . . . თხოულობს მგვრალი შვიდი თვის განუწყვეტლივ ტანჯვას, მუშაობას. იმ პურის წყალობით კაცს თავის სიცოცხლეში არ რჩება დღეში არც ერთი წამი, რის განმავალობაშიაც მის ტვინის ძალა არ იყოს მიმართული და დაჭიმული იმისთანა უბრალო რამეზე, როგორიც არის პატივი, ტაბიკი, სასაპოვნე და სხვა! ამიტომ ამბობენ, რო ამ გვარი მუშაობა უნდა იყოს საზოგადო.... მაგრამ

„სვავს ვინა ჰკითხავს სვაობას,
სვაო, რათა ხარ სვავიო!..“

ეს კიდე არაფერი, რომ ეს 10,000 მეტი არარათიდამ შემოხიზნულ სხვათა ოჯახნი ფეხ-ალაგობრივ, ამათ ათასნაირი საზიზღარი ქსელები აქვთ შემოხოხმიკებულ ქიზიყის საწოვნად. მაგალითად, ბაზაზ დედა-კაცებზე (რომლებს სამოცამდინ მაინც ჰნახამ თითო ბაზაზთან) ნისიად ჩითეულობის მიცემა, რომლის სახლ-და-სახლ გაყიდვის შემდეგ მცირედი რჩება უბედურ დედა-ბერს და ურიული მოგება სვავს. მერე გირავნობა—ანუ მთელი ქიზიყის ვენახების მუქთად კრეფა,—ფულის ულმრთო სარგებლით გავალება.

იმიტომ აღარ გაგიკვირდებათ, როცა სიღნაღიდან გადაჰხედავთ გინდ მაგალითად ვაქირ-ანაგას და დაინახავთ ვეება მზვრებში თეთრად აშენებულ სასახლეებს და გაიგებთ, რო ეს საზაფხულო რეზინდენციაა ამა და ამ სვავისაო...

თვით სიღნაღში ოცი სახლი არ მოიპოვება ქართველებისა...

სვაობას თუ რა ზნეობითი გავლენა აქვთ ქიზიყლებზე, აი კიდე მცირედი ფაქტი: ვხედები სიღნაღშივე ვეება ოტლაყ ქიზიყელს, რომელიც ერთ დიდ ბღუჯა ქაღალდის ქაღალდის გადაშინჯვას მთხოვს. ამ ქაღალდებში ვკითხულობ, რომ ამ მეჭურჭლიშვილისა სამოცი საპანე ღვინო ამა-და-ამ გლეხს ჰმართებს,

ში ქურდობა; აქამდისინ წელიწადი, და ორი გაიდოდა, ისე, რომ არაფერი იკარგებოდა და ახლა კი თვე ისე არ გავა, არა დაიკარგოს-რა. განვლილი ნოემბრის ნახევარს რიცხვში სოფ. ტყარშეთს მცხოვრებელს ზუგუა უსაქანიშვილს თავის სახლის ბოსლიდამ გამოუყვანეს ქურდებმა ისეთი შესანიშნავად მსუქანი ხარი, რომელსაც პატრონი „კვებულას“ ეძახოდა! ნოემბრისვე უკანასკნელს რიცხვებში სოფ. ზარბანში მცხოვრებთ ზუჯარაიძეებს მოჰპარეს თავიანთისავე სახლის კარებიდამ 2 წყვილი ურემი თავიანთის ხელნებითა; ამ მდგომის დეკემბრის თვის ოთხს დაჰკარგა ხარი ბოსლიდამ სოფ. თოთს მცხოვრებელმა რ. ღუდ—მა; მეორე დღეს ძებნის დროს კვალი აღმოაჩინა თავის დაკარგულის ხარისა, და იპოვნა სოფ. ზველეთში და შინაც მოიყვანა; ხარი თუმცა იპოვნა ზველეთში, მაგრამ ქურდი ცხადად არა სჩანს, სოფელს სურს შინაურულად მორიგება, მოპარულის ხარის ღირებულის ფასის გადახდა, და მომპარავის დაფარვა; ხარის დამკარგავისა და მომპარავებს შუა ჩუმ-ჩუმად კაცების გზავნაა და მოლაპარაკება.

არავის ვურჩევთ ამისთანა შემთხვევაში შინაურულად მორიგებას; უმჯობესია საქმის სასამართლოში მიცემა და დამნაშავის სამართლიანად დასჯა, რომ მნახველმა დასჯის მაგალითებისამ ეგრე ადვილად აღარ გაბედოს ქურდობა; თორე როგორ იქნება!— დღეს მე მოვიპარე ერთი ხარი, პატრონმა იცნა თავისი დაკარგული ჩემს ხელში, ვსთხოვე და შინაურულად შემირიგდა და გადავუხადე ერთი ერთად, ესე იგი ხარზე ხარი; ხვალ წაველი კიდევ საქურდლად, და მოვიპარე ისევ იმის მეზობლისაგან ორი უღელი ხარი, ერთი ხარი ჩემის ცალის ხარის მაგიერად მივუმატე ჩემს შინაურს პირუტყვებს, და სამი ხარიც სარგებლად შემრჩა ქურდს რა უნდა დააკლდეს?

მთიული მათია.

## წერილი რედაქტორთან.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზეთ „დროებაში“ წავიკითხე სურამიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია შესახებ მეორე სასოფლო მოხელეების ამორჩევისა და წინანდელი აღრჩევის ფურცლის გაუქმებისა. თუმცა ეს კორრესპონდენცია მრთლათ მე არ შემეხება, მაგრამ რაიც შემეხება ისიც მაძლევს ნებას ორიოდე სიტყვა წარმოვსთქვა.

მე არც საზოგადოებას, არც პოლიციის პრისტავს და არც სხვა ვისმე არ შევხვეწნივარ მეორედ მამასახლის ამორჩევაზედა. შეუძლიან კორრესპონდენტს დამისახელოს ერთი პირი მაინც, რომელსაც შეეძლოს დამტკიცება იმ აზრის, ვითომც მე ვისმე ვეხვეწე მამასახლისად ამორჩევა. პირიქიდ, მთელი საზოგადოება მთხოვდა მე მამასახლისად მეორედ დადგომას, რასაც დავამტკიცებ მოწმეებით და თითონ კორრესპონდენტიც ამტკიცებს ამ გარემოებას.

რაიცა შეეხება კორრესპონდენტის იმ აზრს, რომ მე შევშინდი ანგარიში არ მამთხოვონო, მე მოგახსენებთ, რომ ჩემს ხელში, მე არა ერთხელ მითხოვნია საზოგადოებისათვის ჩამომართვან ანგარიში; არავითარი ანგარიშის საზოგადოებასთან არ მეშინიან, ამას დავამტკიცებ რამდენიმე მოწმითაც; თუ გინდა თვითვეულად ვკითხოთ საზოგადოებას.

თუ ხაზოგადოებას არ ვსურდი მეორედ მამასახლისად ამოსარჩევად და პრისტავმა ხალხს ამოარჩევინა ჩემი თავი, მაშ პირველად ამორჩეული მოსამართლეები და მათი კანდიდატები რაღათ გამოცვალეს და სხვანი დანიშნეს. მაშასადამე მე არა ვყოფილვარ მიზეზი აღრჩევის ფურცლის გაუქმებისა და ბატონი ჯოჯარაძის კორრესპონდენცია არ არის დაფუძნებული ნამდვილ გარემოებაზედ; ის ცდილა მხოლოდ ტიტველი სიტყვებით მკითხველები შეაცდინა.

სურამის მამასახლისი
იაკობ ჯგუფაშვილი.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**ავსტრია.** ვენის თეატრის დაწვა. ჯერაც არ გაწყვეტილა ლაპარაკი და წერა სამზღვარ გარეთის გაზეთებში იმ უბედურებაზედ, რომელიც ეწვია ვენას.

რინგ-თეატრი იყო თითქმის ახალი შენობა. ის მოათავეს 1874 წ. ამ თეატრის შესახებ მაშინვე სთქვა გაზ. „*Presse*“-მა, რომ ეს შენობა თავის უანგარიშო კიბეებით და დახლართულ კარიდორებით ერთობ მოუხერხებელი და საშიშარი შენობა არისო.

26-ს ნოემბერს (8 დეკემბერს) თეატრში დანიშნული იყო დილის წარმოდგენა, რომელიც გათავდა ნაშუადღევის 3-ს საათზე. საღამოს 6-ს საათ. თეატრი ისევ გაღეს. აძლევდნენ ოფენბახის ოპერეტკას—„ჰოფმანის ზღაპრები.“ გალერეია თითქმის სავსე იყო ხალხით. პარტერში იყო 60 კაცამდე; ლოჟებშიაც იკრიბებოდნენ. შვიდის შესრულებას აკლდა ათი მინუტი; ერთმა მაყურებელმა შენიშნა, რომ სწორედ ფარდის წინ, რაღაც კომლი ამოდის, მაგრამ ყურადღებაც არ მიაქციეს. არ გასულა ოთხი წამიც, კომლი გაძლიერდა, ფარდა შეიძრა და უცბად გაიფლითა შუაზედ. მაყურებელთ წამოუდგათ თვალ-წინ საშინელი გაძლიერებული ალი, რომელიც თანდა-თან გარდმოდიოდა ზალაში. საერთო შესაზარელ ხმით შეიძრა მთელი თეატრი ამ სურათის დანახვით: ყველანი მიეშურნენ გასავლისაგან და ფეხ-ქვეშ თელავდნენ იმათ, რომელნიც მათდა საუბედუროდ წაქცეულიყვნენ. ყოველი კაცობრიული გრძნობა, სურვილი ერთმანეთის დახმარებისა განქრა და ყველა მხოლოდ თავისათვის ზრუნავდა. და ამ არეულობის დროს მთელი თეატრი ჩავარდა ღრმა სიბნელეში. გულ-შემატკივარი ყვირილი, კვილი და ჭყივილი ცოცხლად დამარხულთა ჰყრუვდება ცეცხლისგან წარმოდგენილ ხმაურობისაგან. აუარებელი ხალხი შეგროვდა თეატრის წინ. აქ იყვნენ მამები, ცოლები, ქმრები, ძმები და დები, რომელთაც იმ ღამეს გაესწუმრებინათ თავიანთი გულის საყვარელნი თეატრში. ტირილით და ჭყივილით დარბოდნენ ისინი თეატრის წინ მოედანზედ და ეძახდნენ ზოგი მამას, დედას, ცოლს ქმარს, ძმას და დას. რამდენიმე კაცი გამოჩნდა ზევით ბალკონზედ და საცოდავად ხელების შეერით ითხოვდნენ შველას. მოიტანეს კიბეები... ყველა მოკლე აღმოჩნდა. საშინელი სანახაობაა? ზევით კაცები, რომელთაც მოელისთ აუცილებელი დაღუპვა—ქვევით ულონო გროვა მათი მშობლებისა და მეგობრებთა. ბოლოს მოიტანეს ტილოები, გასჭიმეს. ერთი მეორეზედ ვარდებოდნენ დიდის სიმაღლიდამ გაჭიმულს ტილოებზედ, ვისაც მაგარი გული ჰქონდა და დანარ-

---

ორმოცი ამას, ოცი იმას და სხვ. . ამ გვარი გირავნობის წერილები ერთი ოცამდის მაინც აღმოუჩნდა. მე გამოსაცდელად ვკითხე: თუ ამდენი ღვინო როგორ გაასესხე მეთქი?— ჰიმე, გირავნობა არ იცი-ყე?! მკითხა მან გაკვირვებით და მერე ამიხსნა: სახელმწიფო მამული არ გაიყიდება-ყე და გინდაც გაიყიდოს, ლატარიაში თრევა რა სიგიჟეა, იმიტომ მეო ოცდა-ათ თუმანს მივცემ, ვთქოთ, რომელიმე გაჭირვებულ გლეხს და თუმანზე თითო საპანეს ვიანგარიშებ, სულ შევადგენ-ყე და მინამ გადიხდის, მანამ იმისი ვენახი ჩემია,—გადახდა კიდევ ვირის აღდგომას იქნება...

— ამაგისთანა ამბავი ბევრია ქიზიყში? ვკითხე ისევ მე.

— ყველა სოფელში, ვინც ყოჩაღია და ჭკვა აქვს-ყე ე ასე იქცევა და სხვისა ვენახები უვირავია, უფრო ბევრი კი სომხებსა აქვთ დაგირავებული, სიღნაღელებს.

— მერე, კაცო, ეგხო სვაობაა, ყლაპიაობა, ცოდო არ არის ხალხი? უთხარი მე.

— ჰიმე, საქმე არა გაქვს, მე რა დავა მაქვს, თუ ცოდოა, ჯანს-კი არ გავაგდებინებ! თუ უნდა, ნუ გაებმება მახეში! სთქვა იმან ამაყად.

აქ იდგნენ კიდევ სხვა ყლაპიეებიც და სიღნაღელი სვავებიც, რომელთაც მე ცოტა არ იყოს გამოსაცდელად შევები, მაგრამ როგორც, რასაკვირველია, სვავები ისე ქიზიყელი ყლაპიეები ჰგრძნობდნენ თავიანთ სვაობას: სრულებითაც არ ეჩოთირებოდათ ეს ამათ, უფრო თავი მოჰქონდათ—ჰკვეხამდნენ ჩემ ლაპარაკს, მარტო ჩემ „გულ-კეთილობას“ და სხვა ჯერიან კაცობას აწერდნენ; მხოლოდ მათი სახე კი პირ-და-პირ მეუბნებოდა, რომ, ვთქვათ, მართლა, გინდ ამ მეჭურჭლიშვილმა აიღოს და დახიოს ეს გლეხთა გირავნოებანი, რადგან, ვთქვათ, მიხვდა თავის არა-კაცურ—ქცევას,—მაშინვე შეჰყვირებდნენ ესენი, რო გაგიჟდა კაციო, თოკით დააბამდნენ, და იდგნენ კიდეც აქ ისეთი სვავები, რომლებიც ამას „ბუნტოჩიკობას“ დაუძახებდნენ...

არსად საქართველოში არ არის ამდენი „ყლაპიას“ ტიპები, როგორც ქიზიყში...

ჩემმა ლაპარაკმა მარტო ის გავლენა იქონია, რო ეს სვავნი და ყლაპიეები საზიზღრად აატრაბახა, ყურში მიზუზუნებდნენ:—„მე ასე ვიქ, მე ასე უზამ.“ სულ ისმოდა სხვაზე მუქარა, სხვის განადგურება, ანგარიში, „საქმიანობა“—ეს გაურჩეველი, სულ არა-საჭირო ურთი-ერთობა კაცთაშორის; უმიზეზოდ ულმერთობა, მუქარა, შიში—ყველა ეს შამოზღუდული, რაღაც მგლურის ცხვრების გარშამო გულს მიხუთავდა.

ერთად-ერთი სასიამოვნო ამბავი ამ შავ ფონზე—ეს მაზრის უფროსის კაცური ქცევაა—ქიზიყში, რაც სხვაგან იშვიათია, თუმც სხვაგან ქართველნივე არიან უფროსებად და აქ-კი გარეშე კაცი. პირველი ეს, რო უმათრახობა ჩვენ მაზრის უფროსებს სოფლებში მურრის უტოპიად მიაჩნიათ, აქ-კი განვარდნილია ეს ნადირშახული იარაღი ხმარებიდამ და არც ერთ გლეხ-კაცს არ მოჰხვდება ზურგზედ ეს თფილისის და გორის მაზრის უფროსების სული და გული. როგორც გინდა იფიქრეთ, ეს შესანიშნავი ფაქტია მისთვის, ვისაც-კი ჩვენ ქართველ სოფლებში უხეტიალნია. მეორე—უბრალოდ და თავისუფლად ხშირ-ხშირი ვლა თავის სამაზრო სოფლებში, სადაც და რითიც რიგზე აქვს სოფლის მაღაზიები, ცდილობს სასოფლო ბანკებისათვის და აგრეთვე სკოლებისთვის, თუმც ეს უკანასკნელნი აქ საშინლად კოჭლობენ. (მაგრამ ამაზე მერე). ზესიამოვნება, როცა დაცქერდები, რო სვავების წინაალმდეგ ერთი გულ-მტკივანი კაცი მაინც ცდილობს ისეთი მცარედის დროშის ამართვას, როგორც არიან ბანკები... აგრეთვე სასტიკად ექცევა ამ ქიზიყის მიჯნებში ჩაჩრილ თათრებს, რომელნიც ასე ხშირად ამხობენ გლეხის ოჯახს ხარების და საქონლის დაპარვით... მაგრამ ამაზედ კიდე მერე...

შაქრო.

2 ქრისტეშობისთვეს.

ჩენები ითხოვდნენ, რომ ძალად გარდაეგდოთ. ყველა გადარჩა. მხლა ანთებულის ჩირაღდნებით შევიდნენ შიგ თეატრში. ცეცხლის ძალამ და ჰაერის მოძრაობამ იმ წამშივე კააქრეს ჩირაღდნები და შესულთ თუმცა იძახეს: „ხომ არავინა ხართ?“ მაგრამ პასუხად მხოლოდ დამწვარი ბოძების ლაწა-ლუწი მოესმოდათ. ყველანი დამშვიდნენ და დარწმუნდნენ, რომ ყველანი გადარჩენილან და თეატრში აღარავინ არის. შესცდნენ! გალერეიაში და კულისებში უწყალოდ ეყარა ხროვა ადამიანთა. დაიწყეს იქვე მახლობელს საპოლიციო უჩასტკაში გადატანა მსხვერპლებისა. 30 ექიმი უჩენდნენ შველას, მაგრამ ამაოდ—სული ორს თუ სამს შერჩენოდა. ყველაზედ უმეტესად ჰპოულობდნენ გვამებს დახურულ კარებთან. 30 ნოემბერს (12 დეკემბერს) მოხდა საერთო დასაფლავება დაღუპულთა, რომელთა რიცხვი, როგორც აღმოჩნდა უკანასკნელად, 900 აღემატებოდა.

დიდი შესაწირავი გროვდება, როგორც ავსტრიაში ისე დანარჩენ სახელმწიფოებშიაც დაღუპულთა და თვითონ თეატრის გადაკეთების სასარგებლოდ.

---

# განცხადებანი

ახლად გაღებულს **სან. პეტერბურღის საქალებო მოდის მაღაზიაში** მივიღეთ დიდ ძალი, ქალის ზემოდან ჩასაცმელები, პალტოები, ტალმები, დოლომანები, კერასები, დაბამბული პლიუშით მოკერილები, ზამთრის ბეწვის მლიაპები და მუფთები. აგრეთვე ვიღებთ ყველა ნაირს შეკვეთას. ყველაფერი უფრო იაფად ისყიდება, ვინმე სხვა თფილისის მაღაზიებში. მაღაზია იმყოფება არწრუნის ზემო გალერეიაში № № 104, 195 და 196.

იმედი გვაქვს, თფილისის საზოგადოებამ მიაქციოს ამას ყურადღება.

(3—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.
**ხატაური** — — — 10 კ.

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვაზები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., **1 მ. 40 კ.**, 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და **უპირველი ხარისხისა** 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—48)

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.**

(100—95)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუშნივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას გიარები.

(100—48)

---

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ ასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—31)

---

ინგლისის მაღაზიაში

**თმისამ-ყვანი**



**მაქ-მას-ტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკიცილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—72)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით.

(100—72)

---

# აბონემენტი

**ქართული თეატრისა**

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წ.

**ფასი დაკლებულია:**

| | | |
|---|---|---|
| ლიტ. და შუა ლოჟ. | 54 მ.—60 მ. | |
| ლოჟ. № 1,2,19,20 | 30 მ.—42 მ. | |
| დანარჩენი ლოჟები | 36 მ.—48 მ. | |
| კრესლო 1 რიგისა | 15 მ.—18 მ. | |
| კრეს. 2 და 3 რიგასა | 10 50 м. к. | —12 მ. |
| სკამი მესამე რიგ. | 4 50 | — 6 მ. |

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის.

ქართული თეატრის გამგენი { ზ. ანთაძე / კ. მესხი.

---

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი **პორტვეინისა** და **ხერესის** თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის **ბრინჯი** 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის **რევოლვერი** 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის **თოფი** თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.**

(40—12)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ.

(100—48)

---

**ტაქსია**

**საჭმელად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | 3 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 10 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 12 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 11 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Декабря 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი